ფასი 10 კაპ.

იუმორისტული ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი

№ 10





,,გალსტუკი‘‘ და როდიჩევი.

**სურათი პირველი.**

როდიჩევი ტრიბუნაზე
გრგვინავს, სჭექავს როგორც მეხი,
მაგრამ უცებ, უკუღმართად
სიტყვა წასცდა რამ უკმეხი.

* *
*

მან მონათლა სახრჩობელა
,,სტოლიპინის გალსტუკათა‘,
და ამგვარი ,,თავხედობით‘‘
დაიტეხა თავზე ხათა.

* *
*

აიშალენ, აყაყანდენ
სათათბიროს ყვავ-ყორანნი
და მიიჭრენ ტრიბუნასთან
მკლავ წაწვდილნი ხულიგანნი.

* *
*

შეწრიალდა, შეტორტმანდა,
აირია მთელი დუმა...
ველარც თხოვნამ, ვერც მუქარამ
ისინი ვერ გააჩუმა.

* *
*

მოითხოვენ: ორატორმა
დაიბრუნოს სიტყვა თქმული,
და გასწმინდოს ბრალდებისგან
რეაქციის მოციქული.

კაკო.




თბილისი

გალსტუკი და ვარატნიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურული სცენა

## შავი რაზმი.

— დილა მშვიდობის კნიაზო კელენდუხ!

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, კნიაზ, მევარ კაცი!

— ბრძანდებოდი კნიაზ ოზურგეთში კრებაზე? რა ამბავი მოგვიტანე!

— ვიყავი ჩემო ბიძია ვიყავი, წახვალ ინანებ, არ წახვალ ინანებო, რომ იტყვიან ისე იყო საქმე მოწყობილი და მეც წასვლა ვამჯობინე; მარა ნეტაი შენი კარგათ ყოფნით კისერი მომტეხოდა და იქინეი არ წავსულიყავი.. რა გვიქნეს, რა შეგვიკვეთეს, რაფერ აგვიგდეს, რაფერ გამოგვათაყვანეს—სად ხარ ძველო დროვ, რომ მაგ თავის აგდებიზა ვაი ნენაო არ გაპეტელე... ჩევედით, ჩემო მევარკაცი, ოზურგეთში, რაც გურიაში თავად-აზნაური ვიცავით, ამევიდენ ქობულეთიდან ბეგები. ყველაყაი ერთად რომ დევინახე ქე გამიხარდა, იქნება რამე ქვეყნის სასიკეთო და სასიყვარულო მევილაპარაკოთ მეთქი. თურმე რა შუაშია, თავის მოსაჭარათ მოგვიყარეს თავი, გასაროზგავათ დაგვიბარეს და კარგა მაგრათ გაგვროზგეს, მარა მიხთენა უნდა ყორიფელს... მევიყარეთ თავი თუ არა შევედით საყტარში—ძრიელ გამიხარდა, ვიფიქრე ღვდელი ქრისტიანულს ჟვეტყვის რაცხას მეთქი, მარა არა ჩემო დისწულო. ყველაფერი მოილია, ყველაფერი მომოდულდა, ღვდელი კი არა ანაფორიანი ღენერალია. სიყვარულზე, პატიებაზე, შენდობაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ჯვარი ხელში უკავია და პლიოდ იძახის... დაკვიწყო ქადაგება მარა რა დაგვიწყო: გურიის წარჩინებულო შეილებო, გეიხედ-გამოიხედეთ კარგათ რა ვიყავით და რა ვართ ეხლა. დღეს უნდა გადაწყტეს ჩვენი ბედ-იღბალი ან სიკვტილი ან სიცოცხლე. გადაიხადეს პარაკლისი დიდი ცერემონიით. გათავდა პარაკლისი, გამოასვენა ღვდელმა ჯვარი და ისე მაგრათ გვაკოცნია ყველას რომ კბილები კინამ ჩაგვამტვრია. თან გვეუბნებოდა მრავალ ჟამიერ თქვენი სიცოცხლე მრავალ ჟამიერო. წამოვედით საყტრიდგან, შევედით კლასში; წამოდგა წინ გენერალი და ილაპარაკა. რასაც ის ლაპარაკობდა ნიკოკი გვითარგმნიდა:—მადლობელი ვართო, რომ დაგიბარეთ და მოდითო. თქვენ დღეს აქ ბრძანდებით შეკრებილი გურიის ყვავილებო. მე გიცნობთ თქვენო, თქვენ ძრიელ ყოჩაღი და კაი ბიჭები ხართო. მე თქვენ ძრიელ მიყვარხართო. მარა თქვენ შეგიძულა თქვენმა გამოზრდილმა გლეხებმა და თავზე გადაგაჯდენო. ახლაო თქვენ დაბეჩავებული, დამონებული ხართო, გეშ ნიათ გლეხებისო, შიმშილით იხოცებითო. გლეხები საშიში კი არ არის, მარა იგინს ბატონათ სოციალდემოკრატები ყავსო, მარა მე ძრიელ გაკუჭებული ვარ და გადავწყვიტე ან მე უნდა დავკვე და ან სოციალდემოკრატიაო. თქვენ თუ თქვენ სიკეთეს მიხთენებით და მომეხმარებით რასაკვირველია სოციალდემოკრატებს დავაწვენთო. რუსეთშიაც კი ეიგდეს გლეხებმა თავი, მარა იქაური თავად-აზნაურობა მაგრათ დახთა, ერთად შეერთდა და გააკეთა თავად-აზნაურობის „სოუზიო" თქვენც ისე უნდა ქნათო. მე გირჩევთ დააარსოთო ,,გურიის ჭეშმარიტ თავად-აზნაურთა კავშირიო''. მე აქ კიდევ ვაპირებ ოთხი წელიწადი დავრჩე და ხელს მოგიწყობთო. მე ამდენხანს დავაწვენდი სოციალდემოკრატებს, მარა მამასახლისები ყაზახების არჩეულია და არ მეხმარებიანო. თუ თქვენ ყოჩაღათ იქნებით მე თქვენ დაგაყენებთ პრავიტელსტვენი სტარშინათ, ჯამაგირი გექნებათ. გლეხს ერთს არ დავაყენებო. მამასახლისს სამი ჯამაგირიანი სტრაჟი ეყოლება, ავი ადგილიც თქვენი იქნებაო. გარდა ამისა თქვენ უნდა მომცეთ სია იმ საიმედო თავად-აზნაურების, რომელიც ღირსი იქნება იარაღის ტარებისაო და კაზიონი თოფებს დეურიგებო. ასე ამ რიგათ გურიის ყვავილებო ეხლა თქვენ უნდა შეადგინოთ კომისია, რომელიც შეადგენს სიას ვინვარგა, მამასახლისათ ვინ სტრაჟათ და ვინ არის იარაღის ღირსიო. მე გისურვებთო, რომ გურიის ქებული თავად-აზნაური არ ჩამორჩენოდეს დიდი რუსეთისას, მიებაძოს იმისთვის და შინაური მტერი გლეხები მოეკაკვოსო...

თავად-აზნაურებმა ზოგმა ბულით და უფრო მეტმა რასაკვირველია პირფერობით მადლობა უთხრეს და დავპირდით კომისიას ევირჩევთო და ქე წამოვედით ბაროზგვილი...

— რავა გაროზგვილი. ბიძაჩემო, ვერ მივხვდი რას ბრძანებ?.

— რას ვამბობ და მართალს; შენ გონია კნიაზ კელენდუხ გურგულაძე მოხუცებულია ძველი თაობის არის კრებაზე არ იარება და ძირს, ძირსო არ იძახის ამიზა შავს და თეთრს თუ მიხთება არ იცი. რა გაგვიბედეს აგი მა ... მაგ... დიდი წყალობაა გურიის მთავარს მამასახლისობა თუ მისცა, მამასახლისათ კუტუზიძეც კი იყო. გურიის ერისთავს სტრაჟობას გიბოძებო კვარანცხელიათ დადექიო.

გურიის თავადებო და აზნაურებო, ბერდანას გამოგიდებ ფხარზე და მე რომ გითხრა იგი მოკალიო. ფშიონათ დამიდექი და გლეხებს გადავასახლებთო. ახლა გვიჩივა დაჭეხმარე და სოციალდემოკრატები დამაწვენიეო. ვერ მოგართვით, ამას გურიის თავად-აზნაურობა არ იქს. მაკას შავი რაზმი ქვია და მაგფერი საქართველოში კი ყავდა ვინცხა აბდალაშვილს, მარა ჩუგლბა, ქუთაისშიც აპირებდენ, მარა ქე შერცხვენ—ახლა ჩვენ გვიპირებენ გაბახებას, მარა უკაცრავათ, მადლობა ღმერთს ჯერ კიდევ არ ვართ დასაბამათ მოქცეული...

— რავა ფიქრობ კნიაზო, ვერ შეადგენენ შავ რაზმს?

— მაგის ვახტი კაი ხანია წევიდა ჩემო მევარკაცი, შავ რაზმს ვერ შეადგენენ და ისე კი დევინახავ ვინ იქნება ჩასაშავებელი და ვინ ჩასათეთრებელი

პიტნა.



# წერილები ეშმაკისადმი

**ს. მარტვილიდან.** მოწყალეო ხელმწიფევ, ბ-ნო ეშმაკო! დიდათ გემდური, რომ ერთი შენი მობრძანებით არ გაამხიარულე ჩვენი სოფელი. ვფიქრობდი ამ მომავალ დღესასწაულებში მომეწვიე, მინდოდა შენთან ერთად აქაურ ვიზიტებში ტკბილ საჭმელებით და სასმელებით დრო გაგვეტარებინა, მაგრამ შენს მათრახს ხომ უფრო სიმწარე უყვარს და ამისთვის ვთამამობ მოგიპატიჟოთ ახლა ამ სიცივეში და მარხვაში.

პირველად ხომ მარტვილის მონასტერში წაგიყვანთ, რასაკვირველია, გასაცნობათ მონასტრის ძველ ნივთებისა და აქაურ მუქთა ყლაპია ბერებისა. ალიოშა ბერი ახლა ეკონომოსათ არ არის, ეს თანამდებობა მას ჩამოართვეს, ვითომდა მონასტრის ნივთ-მამულები გაეფლანგოს. საზოგადოთ მონასტერში ვერცერთ ბერს ვერ ვნახავთ, რადგან სოფლებში არიან წასული საშოვარზე. ასე ჩემო ეშმაკო, ტყვილად დაგღალეთ მონასტერში ამოსვლით. მაშ ეხლა ქვევით ჩავიდეთ, მათრახი არ დაგავიწყდეს, აქეთ უფრო არის საჭირო. მგონი დაიღალეთ აღმართში ამოსვლით. მოდი ექიმთან, საავათმყოფოში შეუხვიოთ, მაგრამ აქ ხომ ავათმყოფნი ბევრნი არიან, მაინც არა უშავს, იმედია ექიმი ყველას ჩქარა გაისტუმრებს. თუ ექიმი ვერ ვნახოთ, ფერშლები ხომ მანდ იქნებიან. ჰოი! დასწყევლოს ღმერთმა რა გულმავიწყი ადამიანი ვარ! ჯერ ხომ 12 საათი არ არის და საავათმყოფოში ფერშლები რისთვის იქნებიან. სადა სცალიან მათ მუქთა ავათმყოფებისათვის. კიდევ კარგი რომ არავინ არის საავათმყოფოში, თორემ წარმოვიდგინოთ, ჩემო ეშმაკო, ექიმმა გულის წვის წამლათ სოდა გამოგიწერათ და ეხლავე აფთიაქში უნდა წავიდოთ, მაგრამ ვნახავთ თუ არა მეაფთიაქე თევდორეს? დიოგენის ფანრით რომ ვეძებოთ, მაინც ვერ ვიპოვით. მართალია მოსამსახურე ბიჭი არის აფთიაქში, მაგრამ მის დამზადებულ წამალს, შენ ჩემო ეშმაკო, ხომ ვერ ენდობი. მადლობა ღმერთს თედორე უპოვნიათ, მაგრამ ჰოი საკვირველებავ, აფთიაქში სოდა აღარ ქონიათ. ამგვარათ, ჩემო ეშმაკო, ჯერ ორი საათი უნდა იცადო აფთიაქის აივანზე ამ სიცივეში, სანამ თედორეს იპოვნიდენ და მერე კი წამალს ველარ იშოვნი აი სად არის შენი მათრახი საჭირო, გაიქნიე ერთი კარგად. იქნებ გსურს თედორეს უჩივლო?! წავიდეთ მსაჯულ-

თან, მაგრამ 12 საათამდის მოვიცადოთ, მანამდის ხომ მსაჯული კანცელარიაში არ იქნება გამოსული, მაგრამ ხალხი ხომ მანდ არის, ისინი 9 საათზე არიან დაბარებულნი. შენი მას ძლიერ ეშინია, მაგრამ ახლა ნამდვილი „Мировой судья“-თ ოჩამჩირეში გადაიყვანეს. ახლა კი დროა, ჩემო ეშმაკო, სასწავლებელში წავიდეთ. ვნახოთ რას შვრებიან ჩვენი სოფლის განმანათლებლები. თუ გნებავს რევიზია მოვახდინოთ, მაგრამ უმჯობესია ვერწმუნოთ ინსპექტორ სუდაკოვს. თურმე ინსპექტორი სუდაკოვი მშვენიერი შთაბეჭდილებით წასულა აქედან, მხოლოდ ის კი არ მოსწონებია, ბ. სუდაკოვს, რომ ყოფილ ინსპექტორ მაჭავარიანს მასწავლებელი ასათიანი მისი სურვილის წინააღმდეგ გადაუყვანია ჯამაგირით ნაკლებ ადგილზე და ასათიანის ადგილას კი მეოხებითა სპ. ენუქიძისათა გადმოუყვანია ცხაკაია და ნუ იტყვით მართლმსაჯული სუდაკოვი დამუქრებია ცხაკაიას აქედან გადმოყვანას. მართლა, ჩემო ეშმაკო, რა გულმავიწყი ადამიანი ვარ: აქაურ სასწავლებლის მასწავლებელს ქაცარავას ქუთაისის დარაჯთა უფროსმა ჩხეიძემ ღამით ამას წინეთ ალყა შემოარტყა, უნდოდა დაეჭირა, რადგან მას აბრალებენ ხონის აწ არსებულ ორგანიზაციის წევრობას. მაგრამ ცოლის ავათმყოფობამ უშველა და უვნებლად გადარჩა. თუ გნებავს, ბ. ეშმაკო, ფოსტაში შევიდეთ, ვინიცობაა შენი მათრახი აქაც საჭიროთ დარჩეს, მაგრამ მგონია არა, აქაური ფოსტის უფროსი ფულის მიუღებლობის გამო გულხელდაკრეფილი ზის. ფოსტით შენი ძვირფასი მათრახის გაგზავნა რომ გინდოდეს, თუ ფასი დაადევი, იმასაც ვერ გაგზავნი. ფოსტის უფროსი ძლიერ სწუხს, რომ შრომა მოაკლდა, მაგრამ რა ქნას...

**უჩინმაჩინი.**

—

**ფოთიდან.** დაუვიწყარო ძმაო ეშმაკო! შეგაწუხეთ ძმაო, მაგრამ ნუ გაჯავრდები. ვასრულებთ შენს ბრძანებას და გაცნობებთ იმათ სახელსა და გვარს, რომლებმაც დაიმსახურეს საზოგადოთ მათრახის კუდი. ბეგლარ მამალაძეს არ ეწყინება ვგონებ, რომ მისი სახელი დაბეჭდილი, ნახოს. სამაგიეროთ იწყენენ ა. შმაგია, ვ. ფირალოვი, ა. ქვანია, გ. ნიკოლაიშვილი, ლ. ზოდელავა, ე. სარია, ა. სანიკიძე და თ. თოდრაძე, მაგრამ რა ვუყოთ. სიმართლე მოგახსენო პირველი ხარისხის კუდი ეკადრება მხოლოდ მამალაძეს, ფირალოვს და სარიას, რადგანაც ისინი აღმასრულებელ კომასიად იყვენ არჩეული წარსული ზაფხულის გაფიცვის დროს და ახლა კი თითონ არღვევენ იმ დადგენილებას, რომელიც ცხოვრებაში უნდა გაეტარებიათ. და აი ამისათვის არის საჭირო მათ ზურგზე უფრო მწვავეთ გაატარო შენი მათრახის კუდი.

**გ. ელისაბედიშვილი.**

—

**ხაშურიდან.** ეშმაკ-ჯან! დიდათ საჭიროა ერთი შენი აქ ჩამოსვლა. იქნება ფიქრობ ხაშურის საქმე რიგზე მიდისო, მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნება.

მაშ რას უცდი? გამოფრინდი
ეშმაკო, შე კუდიანო!
მათრახიც თან წამოიღე,
ჩქარა, არ დაიგვიანო!
წვერ-ცამეტა თმიანები
დრამისა ფულებს ჰკვიანო,
და სამოთხისა დარაჯნი
მალაყებს გადადიანო.
„პრინცებმაც“ ახლა იხელთეს
ხმალზე გაიკრეს ხელიო,
და შავი რაზმის „პამპულათ“
ზის გრიშა სავანელიო.
სულს ხდიან გლეხკაცობასა
სოფელ და სოფელ ძრწიანო,
ვისაც კი ხელში იგდებენ
იმ ქვეყნად აგზავნიანო.
ვაჭრებიც, ადათისამებრ,
ყვლეფავენ ნელა-ნელაო,
ვარსიმოვმა და გიგუცამ
ხომ თავი ისახელაო.

**ნიდაყარ.**

—

**გოლოვინის პროსპექტიდან.** ძმაო ეშმაკო! როგორ დაგემართა რომ ერთი გოლოვინის ქუჩის ფართე ტროტუარზე არ გამოისეირნე, თორემ უთუოთ შენიშნავდი ფართე და თანაც შემტვრეულ შუშებიან სადალაქოს. სახელად მას „პირველ კავკასიის პარიკმახერთა ამხანაგობას“ ეძახიან. და მართლაც კავკასია-ში კი არა მთელ დუნიაზე არ იქნება ასეთი ახირებული დაწესებულება. არც თავისუფლების დროს იყვენ დიდი დოვლათი, მაგრამ რეაქციამ ხომ სულ გადარია ეს საცოდავები. შეაღე ერთი ეს კარები და თუ არ დავეზაროს კარებში შეხვედრილ მაღალ ყმაწვილს კარგათ წაუთავაზე შენი მათრახის კუდი. აგრეთვე ვანოსაც შეაგონე მათრახის კუდით თუ რომელ თეორიაზე გასწიოს პროპაგანდა. ყოველ შემთხვევაში დათიკოც იკითხე და გულ-ნაკლულს ნუ დასტოვებ, ხომ იცი ამხანაგობა აქვთ როგორც მოგებაში, ისე ზარალშიაც.

ეს აუცილებელია და ნუ დაიზარებ თუ ძმა ხარ.

**შენი სოლო.**

—

**ზემოხეთიდან**. ძმაო ეშმაკო! ღმერთმა რამდენი ხანია დაივიწყა ზემოხეთი, მაგრამ შენც თუ დაივიწყებდი აღარ გვეგონა. დიახ ღმერთმაც დაგვივიწყა, მაგრამ სამაგიეროთ ღმერთიც დაგვავიწყა ილარიონ ხუცესმა. სამაგალითო ენერგიული ადამიანია. არა თუ ახლა, ორისამი წლის წინათაც „შკერში“ ეძებდა უსაქმო ყაზილარებს, რომლებიც მრევლს უბუნტებდენ. ერთხელ კინაღამ გაპარსეს, ახალთაობისათვის გამოსადეგი იქნებაო. 30 მღვდელში მარტო მან არ მოაწერა პირობას ხელი. ხშირად უყვარდა ოზურგეთში სიარული ეფისკოპოსთან.

ახლა შენ გთხოვთ აკურთხე ეს ხუცესი შენი მათრახის წვერით და დააფასე მისი შრომა.

**ექს-ემიგრანტი.**

—

**ჭიათურიდან.** ძვირფასო ეშმაკო! ოჰ რომ იცოდე როგორ დაგიმადლებდით ჭიათურის ნოქრები, ერთს რომ ჩამოხვიდოდე და ამ გახულიგანებულ ვაჭრებს კარგა მაგრად უცხუნებდე შენი მათრახის კუდს!.. რაც კი რეაქცია გამეფდა, როგორც უნდათ ისე ფარფაშობენ ეს დალოცვილები. დადგენილი იყო დილით 8 საათზე დუქნის გაღება და საღამოს 6 საათზე დახურვა. ახლა ეს უკულმა შეატრიალეს ე. ი. დილას 6 საათზე აღებენ და საღამოს 8-ზე ხურავენ. თითქო იგივე საათებია მხოლოდ დროს შეცვლით, მაგრამ ეს უფრო ვაჭრებისათვისაა მოსახერხებელი, რადგან 4 საათის მუშაობას გვმატებს.

ყველაზე უფრო თუ ხათრი გაქვს გოკიელოვსა და ნაცვლიშვილს ეცი პატივი შენი მათრახის კუდით, რადგან უფრო დამსახურებულნი არიან ამ მხრივ.

შენი მარადის **ქაჯი.**

—

**სიღნაღიდან.** საყვარელო ძმაო ეშმაკო! რათ დაგვანატრე ემანგრე შენი თავი და შენი მათრახი? ნუ თუ აღარ გაგიწევს გული ერთი სიღნაღის მაღლობიდან ალაზნის ველს გადახედო? მაგრამ გახსოვდეს რომ გადახედვა კი არა ცოცხალიც ვეღარ გაატან თუ ჰოტორის უბანზე. ჩამოიარე აქ უმთავრეს ქუჩებზე ისეთი ლაფი სდგას, რომ

ჩვენ ქალაქის მამებს ყელამდე მოსწვდებათ. ერთი თუ ხათრი გაქვს მათრახიც უცხუნე და ამ ლაფშიაც ამოაბანავე, თორემ ისე ხელს არ გაანძრევენ, რასაკვირველია ქალაქის სასარგებლოთ. თუ ღვთის განგებით ამ ტალახს გადარჩე. მაშინ ბულვარ-მოედნისაკენ ჩაიარე, მაგრამ ღლითაც ფანარი დაგჭირდება, რომ ოღრო-ჩოღრო ტროტუარებში (უკაცრავად პასუხია) ფეხი არსად ჩაგივარდეს და ხათაბალას არ შეემთხვა.

ასე ძმაო ჩემო, ერთი ამოდი და შეგვიცხუნე ჩვენი ქალაქის მამები, თორემ ლამის აგურხანები გახსნან ქალაქის ქუჩებში.

შენი **ბოგანო.**

**დიდი ჯიხაიშიდან.** ძმაო ეშმაკო! ილია ჭავჭავაძის სიკვდილისა გამო ისე არცერთი სოფელი არ დასჯილა, როგორც ჯიხაიში. ჯიხაიშის „გენერალ-გუბერნატორი“, როგორც „ჭეშმარიტი“ ქართველი, ჩვენზე იყრის ჯავრს და НИКОМУ пощады не даетъ. მართლაც ბევრი „მავნე“ პირი განდევნა სოფლიდან და ბევრსაც კიდევ უპირებს განდევნას. პოლიციელობის ნიჭი ჩვენს „გუბერნატორს“ წინათაც საკმაოთ ეტყობოდა, მაგრამ ახლა მრჩობლ-პოლიციელი გახდა. კიდევ კარგი, რომ იმდენ ხათრს დაგვდებდეს და დვორნიკებს არ დაგვიყენებდეს, მაგრამ აქ ხათრი აღარ იქნება მგონი.

**ჯ-თუ.**

**გამოცანები.**

1.

პირველათ ექიმბაშობდა
რუსი ქართველათ ცნობილი.
და ივერთ პატრიოტებში
მას ბევრი ყავდა ძმობილი.
შემდეგ ქალაქის საბჭოში
დამკვიდრდა, მოიკალათა:
წევრობა გამგეობისა
ხელთ იგდო ხრიკით, ძალათა.
ახლა კი პედაგოგია,
ანათლებს ქართველ შვილებსა
და რა თქმა უნდა, გაუზდის
სამშობლოს ერთგულ გმირებსა!!

2.

პირველათ ცენზორი იყო,
დარაჯად ედგა აზრებსა:
„ქარიშხალს“, „ზამთარს“, გაზაფხულს“
უსვამდა წითელ ხაზებსა.
ახლა ქალაქის საბჭოში
წევრია გამგეობისა,
და ეფერება ბურჟუებს
მაძიებელი ხმებისა.

**როზი.**



**გალსტუკი და ვარატნიკი**

,,გალსტუკი‘‘ და როდიჩევი.

**სურათი მეორე.**

„არ გარდივლის გარდუვალად
მომავალი საქმე ზენა‘‘!...
კადეტისთვის სულ ერთია
ძირს ხოხვა თუ ალმაფრენა.
როდიჩევი მუხლ-მოდრეკით
მინისტრს ხელზე ეამბორა,
კადეტური ანგარიშით
თვალზე ცრემლი აიგორა.

პრემიერმაც აპატივა
შეცოდება მას ბავშვური,
და ქვეყანას დაანახა
კვლავ სილაჩრე კადეტური.

**დასკვნა.**

ამ ამბავმა გამახსენა
გალილეის ბედ-იღბალი,
და ვსთქვი: ,,მარჯვეთ ნახმარ სიტყვას,
ვერ დასთრგუნავს ბნელი ძალი.

**კაკო.**




**ქალთა კრება.**

(მთაწმინდაში)

მთა წმინდა მთელს თფილისში განთქმულია ენერგიული ქალებით. მოძრაობა მათში კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ ამ ჟამად უმწვერვალეს წერტილამდე ავიდა. უკანასკნელ კრებას დაესწრო არა უმეტეს 1000 ბედ-გამოუცდელი და თითქმის ამდენივე ბედ-გამოცდილი ქალი. წარმოდგენილი იყო აკრეთვე 980 გიტარა და 327 სხვა მუსიკალური იარაღი.

გულისა გასართობელათ
გრძნობისა გასათბობელათ,
სმენისა დასატკბობელათ
ჭანგების შესაწყობელათ.

საყურადღებო იყო აგრეთვე ორატორი ქალის ხვარამზეს რეჩი, მაგრამ ვიდრე რეჩს შევეხებოდეთ საჭიროა თვით კითხვის საგანი გავარკვიოთ. კრების განსახილველ საგანს „სიყვარული და მისი შედეგები“ შეადგენდა.

ორატორმა ქალმა ხვარამზემ ნათლად დაასურათხატა ბედ-გამოუცდელ ქალთა მდგომარეობა დღევანდელ პირობებში, როცა ერთი თავზე ხელ აღებული ახალგაზრდა ვაჟი თითქმის ყოველ დღე იცვლის „სიმპატიებს.“ მოიყვანა მაგალითი კოლიასი და ბიქტორასი. ამ უკანასკნელს დიდი ხარჯიც გაუწევია სუმიჩკის ყიდვითა და კოჩკის-ბილეთებით. ყველა ამის მიზეზი ჩვენვე ვართო აღფრთოვანებით ამტკიცებდა ორატორმა. ჩვენ არა გვაქვს კავშირი არა გვაქვს ერთობა.

მომხდარა აგრეთვე ისეთი მაგალითიც, რომ მთაწმინდელ ბარიშნას სხვა უბნის ყმაწვილი შეუყვარებია. რის გამო მისცვივნიან მას დაჩაგრული უბნის ქალები და ვაშლებით „აგოშკები“ ჩაუმტვრევიათ.

ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად ორატორმას აზრით საჭიროა:

1) პირველ ყოვლისა დაარსდეს მჭიდრო კავშირი ბედ-გამოუცდელ ბარიშნათა.

2) იმ ყმაწვილ ვაჟს, რომელიც უღალატებს ჩვენს ამხანაგს, გამოეცხადოს სასტიკი ბოიკოტი და არავინ არ წაყვეს;

3) და აიკრძალოს ქალებში გაზეთის კითხვა ვინაიდან ეს ნამდვილი სისულელეა.

კრებამ აღტაცებით მოისმინა ხვარამზეს რეჩი და ტაშის მაგივრათ გიტარა ჩააწკრიალა. ამის შემდეგ ყველანი კმაყოფილნი დაიშალენ და შემდეგი კრება ახლო მომავლისათვის დანიშნეს.

**უხილავი.**

P. S. აღნიშნულ კრებაზე მამაკაცებს არ უშვებდენ, მაგრამ იმედი მაქვს მომავალი კრება საჯარო იქნება და ვსთხოვთ რედაქციას იყოლიოს ერთი მათრახიანი ეშმაკი, როგორც საიმედო კორესპონდენტი.

**უხ.**





აკაკი და გომართელი.

## მიწერ-მოწერა.

**მეორე ეშმაკი.** აკაკისა წაიკითხე?

**პირ. ეშმაკი.** წავიკითხე და ბევრიც ვიცინე. ალბათ მოხუცებულობის ბრალია.

**მეორე ეშმ.** გომართელისა წაიკითხე?

**პირვ. ეშმაკი.** წავიკითხე და მეტისმეტი ზრდილობიანია.

**მეორე ეშმაკი.** ხუმარა კაცი კია ეს ჩვენი აკაკი! ისე დაიწყო ამ „ქრისტიანულ“ კანონებზე ლაპარაკი, თითქო ლოცვის მეტი ცხოვრებაში არაფერი უკეთებიაო.

**პირვ. ეშმაკი.** ეს რა არის! შენ ისა სთქვი ბოლოში რომ გადაუკრა: თუ დაგვიმტკიცებთ ამას, მაშინ **მეც თქვენთან ერთად შევიძულებ ჩვენს წარსულსო“.** ხედავ სად უთხრა?! ოოო! ეშმაკის ფეხია, ეშმაკისა და ქრისტიანათ კი მოაქვს თავი.

**მეორე ეშმ.** ამაზე გომართელმაც ჩინებულათ მიაკერა, თუმცა უკეთესათაც...

**პირ. ეშმაკი.** მართლა თუ არ ყოფილა ასეთი უსჯულოება ჩვენ წარსულში, რისთვის დასწერა ვანომ? ძველათ თურმე შესანიშნავი კანონები გვქონდა, ღმობიერი და სამართლიანი, წმინდა ქრისტიანული.

**მეორე ეშმ.** აგიშენდა ოჯახი! აბა ნახე რა სცოდნიათ მეგრელებს 200 წლის წინათ.

**პირვ. ეშმ.** აი შეგაჩვენოს ღმერთმა, მეგრელების ამბავი საიდან გამონახე? ალბათ გუჯრები წაიკითხე ა?

**მეორე ეშმ.** საღაური გუჯრებია, ვილაცა ბერს, ლამბერტის დაუწერია 250 წლის წინათა მოკვდები სწორეთ სიცილით:

„თავადებს სრული უფლება ჰქონდათ კაცის სიკვდილით დასჯისა და ბევრსაც უსპობდენ სიცოცხლესო წერს იგი ბერი. ერთმა მათგანმა (თავადმა რასაკვირველია) მცირე ეჭვისა გამო, გაუყარა შამფური ყმას, მიაკრა ზედ როგორც გოჭი; დაანთო დიდი ცეცხლი და ისე შეაწვევინა ცოცხალი კაციო“.

**პირ. ეშმაკი:** ჰო, ჰო, ჰო, ჰო!! აი ეს ნამდვილი ქრისტიანულია! მერე ხომ არ ჭამდენ ოდიშის კნიაზები ასეთ მწვადებს.

**მეორე ეშმაკი.** ჭამით არ ჭამდენ იმიტომ, რომ ქრისტეს სჯულის მიხედვით მარხვას სასტიკათ იცავდენ. მაგრამ განა მარტო ეს ხომ არ წერია იმ ბერის წიგნში. იქ ათასი უფრო სასაცილო ამბებია მოთხრობილი.

„კარგი მომუშავე ყმა რომ იშონა ერთმა კნიაზმა ცალი ფეხი მოსჭრა თურმე საჩუქრათ, აქაო და არსად გამექცესო. ერთი სიტყვით სულ უბრალო მიზეზისთვის სჭრიდენ თავებს ყმებსო“, ამბობს იგი ბერი.

**პირ. ეშმ.** ვა?! კარგი სამსახურისთვისაც ფეხებს აჭრიდენ? ესეც ნამდვილი ქრისტიანულია მე და ჩემმა ღმერთმა!

**მეორე ეშმაკი.** რომელი ერთი ვითხრა ძმობილო! ყველაზე უფრო სასარგებლო, თვალის ამოწვა იცოდენ თურმე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დაასობდენ ოთხ მაგარ პალოს, მიაკრავდენ ზედ დასასჯელ ყმას ხელებით და ფეხებით, ისე რომ ვერ განძრეულიყო. შემდეგ აიღებდენ ორ მგვალსა და პრტყელ რკინის ფირფიტას (თვალის სიფართეს) გაუკეთებდენ გრძელ ტარს, საშინლად გაახურებდენ და დაადებდენ თვალებზე, ასე ეჭირათ გახურებული რკინები, ვიდრე თვალში წყალი არ გამოუშრებოდა და არ დაბრმავდებოდენ. ეს ისეთი ქრისტიანული სასჯელი იყო, რომ ბევრი სიკვდილს ამჯობინებდა თუ კი მოხერხდებოდა.

**პირველი ეშმაკი.** ღმერთო ჩემო! Неужели ყველა ამას მეგრელი კნიაზები შვებოდენ? ამაზე მეტი ხომ ჯოჯოხეთშიაც არაფერი ხდება? მერე ვის სჯიდენ ასე ქრისტიანულად?

**მეორე ეშმ.** ვისა და დამნაშავეს, მაგრამ ჯერ ისიც მოისმინე როგორ პოულობდენ დამნაშავეს. ვსთქვათ რამოდენიმე კაცს ბრალდებოდა ერთი დანაშაულის ჩადენა, მაგრამ ვერ გაეგოთ რომელი იყო ნამდვილი დამნაშავე. მაშინ მოიტანდენ პატარასა, მაგრამ ღრმა ქვაბს, ჩაასხამდენ შიგ წყალს, ჩადებდენ ჯვარს, (გესმის ჯვარს!) აადუღებდენ წყალს და უბრძანებდენ ქურდებს ჯვარის ამოღებას. აი ჩაჰკრა ხელი ერთმა მათგანმა! ამოღებისათანავე ხელს იდაყვამდის ტილოს ტომარაში ჩაუდებდენ, მაგრათ წაუკრავდენ დაბეჭდავდენ. სამი დღის შემდეგ მოიყვანდენ გახსნიდენ ტომარას და თუ ხელი დამწვარი აღმოჩნდებოდა, ვერაფერი ვეღარ გადაარჩენდა სასჯელისაგან. ასე უზამდენ მეორეს მესამეს და სხვ. ბრალდებულებსაც.

**პირ. ეშმაკი.** Странно! ყმაწვილო ადუღებული წყალი ხელს დაგწვავს მაშ რას გიზამს? პირ-იქით, თუ ვინმე გადარჩებოდა, ეს ალბათ უფრო ხელ-მარდი ქურდი, რომელიც სწრაფად მოიპარავდა ადუღებული წყალიდან ჯვარს.

**მეორე ეშმაკი.** ასეა თუ ისეა, სასჯელში ჯვარის გარევა, მას ქრისტიანულ ელფერსა სდებს და რა უფლება გვაქვს აკაკისთან ერთად არ შევიყვაროთ ჩვენი წარსული? ქურდებს კი იოლათ სჯიდენ თურმე. ხეზე ჩამოჰკიდებდენ ცალი ხელით და ვინაიდან სიმძიმეს ვერ იტანს ცალი ხელი, იღლიასთან ტყავი იხეთქება და სისხლის ნაკადული გადმოჰქუხს ხოლმე. როცა ხელები და ფეხებია მოსაჭრელი, მაშინ ნაჯახს გაახურებენ და სჭრიდეს სახსარს ზემოთ. მოჭრის შემდეგ ძვალიდან ჯოხით ტვინს გამოიღებდენ, რომ არ დალპესო. ხედავ როგორი ქრისტიანული მზრუნველობაა, ტვინს იღებენ ფეხი არ დალპესო.

**პირ. ეშმაკი.** შენ მატყუებ მგონი ამხანაგო. აბა მითხარ რომელ გუჯრებში ამოიკითხე ეს ამბავი?

**მეორე ეშმაკი.** გუჯრებისა რა ვიცი მე, და იგი ბერი კი ასე წერს თავის წიგნში. ნახე თუ გინდა 81—85 გვერდები.

— რაკი ასეა მეტი რა გზა მაქვს უნდა დაგიჯერო **პირველი ეშმაკი.**



## ბათუმის ავან-ჩავანი.

### დილის მზის სხივები.

ბრწყინვალე მზემ ამოანათა ბათუმის არემარეზე და თავისი სხივები აქეთ-იქით გაფანტა ბნელი ქალაქის გასადვიძებლათ.

**პირველი** სხივი ქალაქის თვით-მმართველობას დაეცა: უხმო ხმოსნები შეფაფხურდენ, მორთეს ყაყანი, დაუწყეს ნაგავს ქექა და ქანქარს ძებნა, მარა იქ ვერა იპოვესრა. შემდეგ ქალაქის თავი წარავლინეს პეტერბურგს, რათა მან მუნით ჩამოზიდოს ოქრო, რომელიც ნ. ნიკოლაძეს წამოუღებელი დარჩა.

**მეორე** სხივი საურთიერთო ნდობის ბანკის ,,კასსაში'' ჩავარდა. თაგვებმა ყურები ცქვიტეს, კბილები კრიჭეს, მიიხედ-მოიხედეს, მარა ყუთში ვერა რა იპოვეს, რადგანაც გოგიჯანოვს იქიდან ყოველივე უკვე დროზე გაეტანა.

**მესამე** სხივი ბათუმის რკინის გზის დეპოს მუშებში შეიჭრა. მუშები მსწრაფლ წამოხტენ, გაიქც-გამოიქცენ, მოზიდეს დამტვრეული საათები, დამსხვრეული გრამოფონები და დავარდნილი ბოხრიკნი. ათამაშეს ლატარია, და დაცარცვეს რა ურთიერთ, მით რეაქციის საწინააღმდეგო საშვალებას ჰპოვეს.

**მეოთხე** სხივი ფედერალისტთა ბანაკში ჩავარდა, თუმცა იქ სინათლე ვერ შეიტანა, მარა ერთი შენძრევა კი შეანძრია.

**მეხუთე** სხივი აჭარულ ასოთ-ამწყობთა ბინაში შეიჭრა. ნუნუასაგან გაბრუებულმა ასოთამწყობებმა თვალები ჭყიტეს, „საპოხმელიოთ“ გაემართენ და წინადამის ნარჩენ ნუნუას ერთგულათ დაეწაფენ.

**მეექვსე** საწყალი, გზა დაბნეული სხივი ბათუმის ქართული სკოლის გამგე კომიტეტში, უცაბედათ შექვრა და კომიტეტის წევრებს თვალებში ჩააჭყიტა. კომიტეტმა თვალები გაახილა, გადაბრუნდა მეორე გვერდზე და ხანგრძლივ ძილს მიეცა.

**მეშვიდე** სხივი ახალგაზდა ,,პოეტის'' გრიშა გიგინეიშვილის სამწერლო კაბინეტში შეიჭრა. ,,პოეტმა'' შუბლზე თითი მიიდო, მოზიდა კალამი და დასწერა შესხმა ,,შოთა რუსთაველს'', რომელიც ,,ნიშადურის'' მე-12 №-ის საშვალებით ემცნო ქვეყანას და რომლის ხელის ხელ საგოგმანები მარგალიტები აქაც უნდა მოვიყვანოთ:

მოვლენილი ხარ ზეციდან. არ ხარ ამ მიდამოსანი,
სხვა და სხვა ხმაზე დამღერი, როგორც ბულბული ხმოსანი *).
არაფერი არ დატია, ყველაფერი აქვს რებული (ლანჩხუთიც?)
ამიტომ არის ტარიელ, შმაგი და გამხეცებული (ჰა, ბიჭი!)
ვაჰ თუ საწუთრომ უმუხთლა, შავი და თეთრი არია
და ამ არეულ ფერებში, მისი სინათლეც არია! (კაკოი სლოგი დურ ყარდაშ ეტო?)
შენ ამის დამწერს რა გითხრა?! ენა მებმების რუსთველო.

(ღმერთს მადლობა, რომ ენა ებმება ურა პოეტს, თვარა შეიძლება ცუდათ დაემთავრება მუქარა).

თუ შევიძელი როგორმე სწორეთ ხარ სადიდებელი.
მაგრამ ვი*ა* ვაქებ, რას ვაქებ, ვისი ქების ვარ მთხუზველი!

—

ამ პოეზიამ ჩვენც მსგავსი პოეზია აღგვიძრა:

ასეთ ლექსების ,,მთხუზველი'', სწორეთ რომ არის სადიდებელი
და მას მოუხდება კუდი მათრახის, რბილი ნაწილის ამცხუნებელი.

**ბლიკვაძე.**

(გაგრძელება იქნება)

---

*) ჩვენ გენერალ კვიცინსკის გარდა ბულბულიც ბვყოლია თურმე ხმოსნათ ქ. ბათუმში.
ბლიკ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოცანა.

ასკანას ხუცესი არის
ცხვირ-კოშა და წითელ წვერა,
არხილოთთა წინამძღვარი
(თანაც დიდი გაიძვერა!)
ბრძენთა ჯგუფის პატრიარქი
მათი მჭევრი ორატორი.
(სოციალისტთა ლანძღვაში
მას არ ჰყავდა ჩვენში სწორი.)
გაუგებარ რეჩობანით
შეირცხვინა ხალხში პირი,
და ეშმაკის მეოხებით
ჩაეშალა ეს კავშირი.
მაგრამ ბედმა წვერ-ცამეტას
სხვაფრივ მოუმართა ხელი,
და ბატონებს „წრფელის გულით“
უთავაზა სტამბა ძველი.

**ნორდკინ.**



## დეპეშები.

**ჭიათურა.** ცნობილი ილიკო ბახტაძე თფილისიდან „ეშმაკის მათრახის“ შიშით ნათოფარ დათვივით დაბრუნდა. არტელის წესდება, ,,ბოლშოი სკოროსტით'' გამოგზავნილი უკვე მოუვიდა და ბძანება გასცა მეუშებში, მედგრათ დაიცვან თავიანთი პოზიცია. სარდლობა ივანე ფუტკარაძეს ებოძა. პირველი შეტაკება უმუშევრებთან ჩერნევსკის ტუპიკში მოუხდათ. პირველათ იერიშით არტელჩიკ—ოსებსვანთა ბრიგადამ მიიტანა უმუშევრებზე და ძრიელ მაგარი მასაჟი გაუკეთა წერაქვ ნიჩბებით, რის შემდეგ უკუ აგდეს უმუშევრები და ოცი ვაგონი ხელში ჩაიგდეს. ბახტაძისტები განცხრომაში არიან არტელჩიკების სიმამაცით.

**პატარა ჭიქოური.** მას შემდეგ, რაც ,,სპუსკის'' ვექილობა ლ—ძეს გადაეცა, ,,ჭეშმარიტი ქართველი'' მიხაილ სტეპანიჩი ქკუაზე შეირყა. მიზეზათ ასახელებენ დიდიხნის ექსპლოატატორობის ჩაფუშვას. დაჟინებით ამბობენ: ,,ეშმაკის მათრახი'' გაკურნავსო, თუმცა ზოგიერთები წინაალმდეგნი არიან, რადგან ის დაბადებიდან ასეთი იყოო.

**პაატა.**

## ქართველი მოღვაწეები.



ვაჟა-ფშაველა.

კავკასიონის მთის არწივი და ფშაველთა პირველი მერცხალი, ლუკა რაზიკაშვილი, დაიბადა სწორედ იმ წელს, როდესაც რუსეთში ბატონყმობა მოისპო. ამგვარათ ის უკვე 46 წლისაა და წლოვანობასთან ერთად აზრითაც, რიგიანათ მოხუცდა.

მთელს ფშავეთში, როგორც მოგვითხრობს ზეპირ გადმოცემა, მარტო პავლე მღვდელის ოჯახში იცოდენ წერა-კითხვა და ეს არც ისე დიდი ხნის ამბავია. ლუკამ სწავლა სასულიერო სასწავლებელში დაიწყო, შემდეგ გორის სემინარია გაათავა, შემდეგ მასწავლებლათ იყო და აქედან თავისუფალ მსმენელათ შევიდა უნივერსიტეტში.

წერა ადრე დაიწყო და ჩინებულათაც დაიწყო. ვისაც ,,შვლის ნუკრის ნაამბობი'' წაუკითხავს ყველა იტყვის: ,,ასშენა ღმერთმა ამისა დამწერის ოჯახიო''.

როგორც პოლიტიკური მოღვაწე, ვაჟა-ფშაველა თითქმის შეუმჩნეველია. არის თავისთვის კავკასიის მთებში შებუდებული და იშვიათად ჩამოეშვება ხოლმე ბარში. მეორე დუმის არჩევნების დროს ფედერალისტების მხრით დიდს აგიტაციას ეწეოდა, მაგრამ მისმავე სოფლელებმა ზურგი შეაქციეს და მოქმედება დაუწუნეს.

ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობაში აგრეთვე საინტერესო იყო ერთი ვრცელი პოლემიკა სტუდენტებსა და მას შორის ,,ზემლიაჩესტვოს'' ფულების შესახებ.

ისტორიკოსი

---

## სურნელოვანი რედაქცია.

მოგვიხუცდა რედაქტორი
აღარ უჭრის თვალი, ყური,
და თითონ სწერს უბადრუკი
რომ ,,ყარს'' მისი ,,ნიშადური''.

კურიოზები ბევრია ქვეყანაზე და ერთი მარცხი ბ-ნ გუნიასაც მოუვიდა. **ნიშადურის** მე-14 ნომერის უკანასკნელ გვერდზე დაბეჭდილია ასეთი ნაწყვეტი:

**ყ**ველა ხედავს ცხადზე ცხადათ,
**ა**რვინ ამბობს მხოლოთ ამას,
**რ**ომ ,,დუმაში'' კამათობა
**ს**აარაკოს მოგავს თამაშს.
**ნ**ასუფრალზე სტუმრათ მისვლა
**ი**მას ქონდეს, ვისაც სჯერა,—
„**შ**ავრაზმელებს ვარჯულებთო“,
**ა**რ მრწამს რომ თქვან, აღარ მჯერა!
**დ**ღეს რომ მითხრან: ,,ჰა, ვკეთდებით,
**უ**იმედო შენ ხარ ერთი!..
**რ**უქას არაკს ვეტყვი იმას:
—,,**ი**სემც გაგაკეთებს ღმერთი!''

თითქო განზრახო, ავტორს ასე დაუწყია ეს ლექსი: ,,ყველა ხედავს, რომ ,,ნიშადური'' ყარს, მაგრამ არავინ ამბობსო''. პატივცემული ვალერიან გუნია ისე გაიტაცა ცილის-წამებამა და პირადმა ანგარიშებმა, რომ დასაბეჭდ მასალასაც თვალი ვერ გადაავლო. სხვა მის ადგილას ასეთი თავისი თავის გამათრახებით ისწავლიდა ჭკუას, მაგრამ სურნელოვანი რედაქციის სულის ჩამდგმელი სწავლის ჭასაგზე გადარებულია და საკუთარი თავის გაშოლტვის გარდა ჩვენი მათრახის კუდსაც მოითხოვს.

— ფეშქეშ!

**ეშმაკი.**

---

## უცხო სიტყვების ახსნა

(იხ, „ეშმ. მათრ.“ № 5)

**ტაატი**— ოქტომბრისტთა ტაქტიკა.

**ტაბიკი**— საგლეხო ბანკი

**ტაბლა**— „უკუპო მწერლების“ კუჭის გასაძღომი.

**ტაბუხი**— „ქალარა“-ს შუბლის ძვალი.

**ტალახი**— „ნიშადურის“ რედაქცია

**ტევანი**— „ლევანი - მტევანი“ გვაზავას რითმა.

**ტიალი**— მდიდარი გლეხი

**ტიკი**— „ჭეშმარიტ-ქართველთა“ სალოცნებო საგანი.

**ტილო**— „მხურვალე თავის“ გასაგრილებელი მასალა

**ტლანქი**— „ეკალი“-ს კვირიდან კვირამდე.

**ტლინკი**— „გამათრახებულის“ პასუხი.

**ტრიხაპოტი**—სვინდისთან მწყრალი ადამიანი

**ტუკი**— კონსტიტუციონური „ტროსტი“

**ტყავი**— გლეხებსა და მუშებში გავრცელებული სახადი.

**ტყემალი**— გურულების საზაფხულო საჭმელი.

**ტყვე**— რუსეთის მოქალაქე.

**ტყვია**—ბიუროკრატიული სალამი.

**უმეცარი**— „ეკალის“ მეცნიერი

**ურა**— პატრიოტული გალობა

**ურია** – “პაგრომჩიკების“ სავარჯიშო მასალა.

(შემდეგი იქნება)



### ნიშადურის ,,მონადირეს‘‘.

უბადრუკს და სულით მცირეს
რადა ვუთხრა ,,მონადირეს‘‘,
ვინც კატთაგან ვეღარ არჩევს
,,ნიშადურის‘‘ ტალიკ ვირებს!
ვინც სთვლის წმინდა ხელოვნებათ
მათ ნაყროყინ-დანაყვირებს,
ვინც სხვის თვალში ბეწვსაც ჰხედავს
თვისაში ვერ ამჩნევს დირეს?

**ჰოპ!**

### „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.

**მარტვილი.** ჟინ-მაჩინს. ადგილის სივიწროვის გამო შევამოკლეთ თქვენი წერილი.

**გორი.** ვასილ მუჩაიძეს. თქვენი წერილი არ იბეჭდება. მართლაც გასაკვირია, როგორ შეიძლება თქვენვე თქვენს თავს ,,სისკნოე ოტდ.‘‘ წევრსა და მოწყობას უწოდებდეთ.

**ს. ბრეული.** ნარიანეულს. თქვენი ლექსი ,,სიმღერა‘‘ ვერ იბეჭდება.

**ფოთი.** კირაკოზას. თქვენი წერილი არ მიგვიღია.

**საჯავახო.** სურიკს. წერილზე საჭიროა სახელისა და გვარის მოწერა.

**ხონი № 1.** თქვენს უკანასკნელ ბიოგრაფიაში ბევრი საპასუხისმგებლო ბრალდება არის წამოყენებული აღნიშნული პირის შესახებ და საეჭვოთ მიგვაჩნია მისი დაბეჭდვა. თუ გაქვთ რაიმე ფაქტები ბრალდების დასამტკიცებლათ.

### ბ-ნო რედაქტორო!

,,წყაროს‘‘ მე-26 ნომერში მოთავსებულ პეტრეს წერილზე ვუპასუხებ:

ჩემის მხრით მედიატორებათ ვნიშნავ ვანო მარკოზოვს და ვანო მოსულაშვილს. თავმჯდომარის კანდიდატად ვასახელებ ლევან ანტონის ძე მამულოვს.

საქმე გაირჩევა 9 დეკემბერს 10 საათზე დილით.

**თითონ იცის.**

### გამოიცანით ვინ არის?

1

ექებს დღით, დამით, ძილში ღვიძილში, გზაში, სახლში, წვიმაში, თოვლში, სიცხეში, სიცივეში, სიმთვრალეში, სიფხიზლეში, ტირილში, სიცილში, სირბილში, ჯდომაში, წერაში, კითხვაში, არშიყობაში, თვალთმაქცობაში, ხუმრობაში, მასხარაობაში, ლაზარაკში, საუბარში, პოლიციაში, სუდში, ციხეში, ჟანდარმერიაში, გარეთ, შით: ესდეკს, ფედერალს, კადეტს, ოქტომბრისტს, პროგრესისტს, ავტონომისტს, ჯგუფისტ-ანარქისტს, რეგრესისტს, ხულიგანს, კაცს, მოხუცს, მაიმუნს, თაიგულს, შენც, მეც, ყველას ოდონდ სიცოცხლე მიეცით?

### გამოიცანით ვის მიანდოგენ?

2

გურიის გლეხ-კაცობის ბედს, მამასახლისების ალაგს, გლეხების უფროსობას, ქრთამის აღებას, ჯაშუშობას, ნაციონალურ სიამაყეს, ინტერნაციონალურ შურს, მოძრაობისადმი მტრობას, მთავრობისადმი ერთგულებას, მთავრობის მონობას, პრისთავის ამხანაგობას და პაგრომების მოწყობას?

**შაშლიკი.**

რედაქტორ-გამომცემელი
თ. ბოლქვაძე.


Полное разрѣшение задачи керосино-калильнаго освѣщенія

освѣщеніе городовъ, желѣзныхъ дорогъ и проч.

КЕРОСИНО-КАЛИЛЬНЫЙ ФОНАРЬ

„САМОСВѢТЪ“

Золотая медаль. Золотая медаль.

единственная въ мірѣ самозажигающ. лампа безъ давленія воздуха.

САМА ЗАЖИГАЕТСЯ АВТОМАТИЧЕСКИ.

Нѣтъ накачиванія воздуха.

Нѣтъ угольной кислоты.

Дѣйствуетъ безпрерывно



ПРОСТОТА УХОДА НЕ БЫВАЛАЯ, СИЛА СВѢТА ПОСТОЯННАЯ, АБСОЛЮТНАЯ безопасность

Эксплоатація горѣнія доведена до минимума.

Имѣются въ громадномъ выборѣ калильныя сѣтки всѣхъ нынѣ существующихъ системъ, а также принимаются заказы на всѣ размѣры калильныхъ сѣтокъ.



Имѣются также сѣтки „ПЛЕССЕТТИ“ всемірно признанныя въ мірѣ калильнаго освѣщенія какъ однѣ изъ наилучшихъ и прочныхъ.

0–10

Единственное представительство для всего Кавказа и Закавказскаго края фонарей с-петербургск. т-ва „Свѣтъ“, и всемірно-извѣстнаго бельгійскаго анонимн. о-ва калильн. сѣтокъ „Ауэръ“. Цѣны внѣ конкурренціи. Прейсъ-куранты высылаются безплатно. Главный складъ и контора, Тифлисъ, Михайловскій проспектъ, № 102. Д. И. Лоладзе.

ТЕЛЕФОНЪ № 654.


ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ მიხეილის პროსპექტი, № 65.